საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

აძეძი

აძეძი, მდინარე აღმ. საქართველოში, თიანეთის მუნიციპალიტეტში, ერწოს ქვაბულში. მდ. ივრის მარჯვ. შენაკადი. სიგრძე 16 კმ, აუზის ფართ. 135 კმ^2. სათავე აქვს ქართლის ქედის აღმ. კალთაზე. საზრდოობს თოვლის, წვიმისა და მიწისქვეშა წყლით. წყალდიდობა იცის გაზაფხულზე, წყალმოვარდნები –ზაფხულში, წყალმცირეა ზამთარში. ერთვის 49 პატარა შენაკადი, რ-თა ჯამური სიგრძეა 118 კმ. საშ. წლ. ხარჯი 1,35 მ^3/წმ.